



გაბრუნდა ვენკოვალთა გულსტიკილი გინვებით „მინი-ფახბურთის“ გაზრდაზე ველოსიკედისტები მსოფლიო რეკორდს უტევენ

გუშინწინ თბილისის სპორტის სახალხო ჩატარდა კალათბურთულ ვაჭარა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული შატრი: „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი), სურათზე ამ თამაშის მომენტია აღბეჭდილი. მ. ზარგარიანის ფოტო.



(საკავშირო ჩემპიონატისა და მსოფლიო რეკორდის მასალა № 80-2 83.)

პროლეტარული კვლევა მუშაობს, მხარდობს

ლელო

1972 წ. № 258 28 დეკემბერი, სურათბათი, შანი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

საბარტველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

საბჭოთა სპორტის მოწინავენი

პირველი ათეული 1972 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორები

სსრ კავშირის სპორტულ უწყაროსთან ფედერაციის მიერ ჩატარებულმა ტრადიციულმა გამოკითხვამ გამოავლინა საბჭოთა ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენი 1972 წლის შედეგების მიხედვით.

ლაურეატთა ათეულში შევიდნენ (ანბანის მიხედვით) ოლიმპიური ჩემპიონები: ათლეტიკის ა. ავილოვი („დინამო“, ოდესა), ძალოსანი ვ. ალექსევი („სტროული“, შახტი), მორბენლები ვ. ბორზოვი („ბურევსტნიკი“, კიევი), ლ. ბრაგინა („დინამო“, კრასნოდარი), მოთბობაურე ვ. ვედენინი („დინამო“, მოსკოვი), ტანმოვარჯიშე ო. კარბუტი (საბჭოთა არმია, გროდნო), მოთბობაურე ვ. კულაკოვა („სტროული“, იუვესკი), მოჭიდავე ა. შედევი („ბურევსტნიკი“, მინსკი), სამხატვროელი ვ. სანევი („დინამო“, თბილისი), ტანმოვარჯიშე ლ. ტურნიშჩევა („დინამო“, გროდნო).

ჯანჯარი

● **ბრიუსელი, 26 დეკემბერი.** მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ზეგზურთულ ვაჭთა გუნდი განაგრძობს ბრძოლას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში: საბასუნო მეგრედიანელურ მატჩში მან ბელგიის უძლიერესი კლუბი „ავანტი“ დაამარცხა ანგარიშით 22:14 (8:5). ალბათ გახსოვთ, მოსკოველებმა შინაე აჯობეს ბელგიელებს (28:11).

● **პირმი-ნაპეში, 26 დეკემბერი.** საბჭოთა არმიის ბიატლონისტთა გუნდმა I ადგილი დაიკავა ოთხდღიან ტრადიციულ საკავშირო შეჯიბრებაში თბილისში „როსიას“ პრიზზე. უს საინტერესო ასპარეზობა იურიორთა ესტაფეტით 3x7,5 კილომეტრზე, საუკეთესო შედეგს მიაღწიეს „ტრედის“ წარმომადგენლებმა — 1.37.48.

● **ბაშანბი, 26 დეკემბერი.** ცნობილი უზბეკ მოჭიდავის ა. ხოჯაევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის 16 მონაწილეში საუკეთესო აღმოჩნდა ლენინგრადელი დილოსტატი მ. ტიმიანოვი, რომელმაც დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება და 11 ქულა დააგროვა. 11-V ადგილებზე გაიყვეს ვ. ცეშკოვიკი, ბ. ანტებევი, მ. რუდერფერმა და ო. პავლენკომ — 9,5-9,5 ქულა. ხოჯაევის მეგობრული ტრადიციად იქცევა.

● **სიმილი (ვაშინგტონის შტატი), 26 დეკემბერი.** აქ დიდი ინტერესი გამოიწვია „სიეთლ ტეიტმისის“ და მოსკოვის ნაერების ამხანაგურმა შეხვედრამ ჰოკეიში. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 9:4 (3:2, 2:2, 4:0). გამარჯვებულთაგან შაინები გაიტანეს იაკუშევა (3), ბოლუნოვა (2), ორლოვა, მალცევა, ციგანკოვა და ლაპკინა. მოსკოველთა კარს სილენიკოვი იყავდა.

ოლიმპიურ წელიწადს მიეძღვნა

მოსკოვი, 26 დეკემბერი. ყურჩალისტთა ცენტრალურ სახლში გუშინ დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ს. პავლოვის გამოცვლამ. ორატორმა ილაპარაკა წა-

რბევალი, ოლიმპიური წლის შედეგებზე, საგაისო გეგმებსა და შუადკომპლექსის პრობლემებზე.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის სიგელებით დააჯილდოვეს ბევრი ყურჩალისტი, რომლებიც მიუძღვნეს XX ოლიმპიურ თამაშებს აშუქებდნენ.

წაგება მესამე წრეში

როგორც ცნობილია, სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი გამარჯვების შემდეგ თბილისელი ა. შეტრეველი კუნძულ ტასმანიის ღია პირველობაში ჩაება. სსრ კავშირის ჩემპიონმა წარმატებით დაიწყო ეს ტურნირი, მაგრამ მესამე წრეში მიულოდნელად დამარცხდა ახალგაზრდა ფრანგ ჩოგბურთელთან ვან პელეტთან ორთაბრძოლაში (4:6, 4:6) და ასპარეზობას გამოეთიშა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ არქიტექტურული ფაქტორების სტრუქტურა ვ. შეტრე (პარიზი) წლებადღეა საჩოგბურთო სეზონის აღმორჩენა და მას კარგ შოშავალს უწინასწარმეტყველებენ.


გუშინწინ, 26 დეკემბერს დაიწყო ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა ჩოგბურთელებიც ჩაებნენ. (ხვ. ინფ.)

ვ. ჰაჯარაძე — სპორტის საკატიო მსაქრი

ეს წოდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ვ. ჰაჯარაძეზე შემოიღო. „სპორტის საკატიო მსაქრის“ წოდება ენიჭებათ საკავშირო და საერთაშორისო საკავშიროს არბიტრებს, რომელთაც შრავალი წლის განმავლობაში აქტიური და უმწიკლო მსაქობისა და საორგანიზაციო მუშაობის დიდი სტაჟი აქვთ.

ამას წინათ სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა კალათბურთში ხანგრძლივი, კვალიფიციური და პრინციპული მსაქობისთვის „სპორტის საკატიო მსაქრის“ წოდება მიანიჭა საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ვ. ჰაჯარაძეს (თბილისი).

ღრი პალაისი მთქილავითა მებღრტა



რუსთავის საჭიდაო სარბიელზე ხშირად ნახავდით ძებებს — სპორტის ოსტატებს პეტრე და თენგიზ ჭიოშვილებს. ისინი ღირსეულად იცავდნენ თავიანთი კოლექტივის სახელს და ავტორიტეტით სარგებლობდნენ თანაგუნდელებში. ახლა ძებმა საპატიო საქმეს მოქიდავს ხელი — ახალგაზრდობას ზრდიან, ოღონდ უფროსი ძმა პეტრე რუსთავშია, უმცროსი თენგიზი კი ვლოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ სვერდლოვსკში. სწორედ ძებმა იყვენ რუსთაველი და სვერდლოვსკელი მოქიდავების დამეგობრების თაოსნები.

მათი პირველი შეხვედრა შარშან მოხდა რუსთავეში, წლეულს სვერდლოვსკის ღია ჩემპიონატში კვ ქართველ მეტალურგთა ქალაქის მოქიდავებმა მიიღეს მონაწილეობა.

ამას წინათ სვერდლოვსკელი მოქიდავები რუსთავს ეწვიენენ. ისა-

ნი ოთხ დღეს დარჩნენ სტუმრად, გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, სპორტულ ცხოვრებას, შემდეგ კი „ფოლადის“ სპორტდარბაზში სარბიელზე შეხვედნენ ქართველ კოლეგებს.

თავისუფალი სტილის მოქიდავეთა მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 6:4. „კლასიკოსებშიც“ უძლიერესნი მასპინძლები იყენენ, ოღონდ ამჯერად ბრძოლა უფრო შეუპოვარი გამოდგა — 5:5:4:5.

რუსთაველ სპორტსმენთაგან კარგად იჭრავს ვ. მაჭარაშვილმა, ვ. ლოლაშვილმა, ვ. ჩხარაძემ, ო. ცუხიშვილმა, სტუმართა შორის კი გამოირჩეოდნენ ა. ალექსანდროვი, დ. ჩვიროვი, ვ. ბოლარევი, ვ. მენშოვი.

რ. ზაზრიძემ, (ჩვენი კორ.) რუსთავი.

ხურათევი: ვ. მაჭარაშვილისა და ა. მუსიენკოს შეხვედრის მომენტი. ღიშარჯვა მაჭარაშვილმა, ავტორის ფოტო.

რეკორდები თოვასა და სიგნელები

შარბანა, 26 დეკემბერი. აქ სსრ კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ შეჯიბრებაში პარაშუტისტებმა კიდევ სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს.

ქალთა ოთხეულმა ვ. კურციანს, ვ. ბაბლაუციენს, ვ. პრივალოვასა და ე. მილეროს შემადგენლობით ღამით 1000 მეტრი სიმაღლიდან დაშვების სიზუსტეზე ორ ჩვეულებრივ ბტომაში წრის ცენტრიდან 7 სმ საშუალო გადახრა აჩვენა.

ბრწყინვალე შედეგი მოიპოვა ვაჭთა კვარტეტი: ნ. პოპოვი, ვ. ტიხონოვი, ვ. ჩემაგინა და ვ. ტრუსოვა. ორ ჩვეულებრივ ბტომაში 1000 მეტრი სიმაღლიდან, მიუხედავად თოვისა, პარაშუტისტები ზუსტად ცენტრში დაეშენენ. გადახრა — ნული.

იმავე სიმაღლიდან მოაწყო ორი ჩვეულებრივი ბტომა რვა პარაშუტისტმა. იგივე ოთხეული ვ. მუშტუკოვთან, ს. საზანოვთან, ვ. პენკოვთან, პ. ლურშევთან ერთად წრის ცენტრიდან 8 სმ საშუალო გადახრით დაეშვა.

ყველა ნახტომი — „სამიზნის“ ცენტრში

შარბანა, 27 დეკემბერი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში პარაშუტისტებმა კიდევ 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ექვსკაციანმა ჩვეულებრივმა მუშტუკოვი, ს. საზანოვი, ნ. პოპოვი, პ. ლურშევი, ვ. ტრუსოვი, ვ. ტიხონოვი დღისით 1000-მეტრიდან ორ ნახტომში ზუსტად წრის ცენტრში დაშვებით დააგვირგვინა. ასევე „ნულოვანი გადახრა“ აღწუსდა იმავე სიმაღლიდან ორ ნახტომში ოთხეულმა — ო. კაჯაკოვმა, ე. ბროკინმა, ვ. იურკოვ და ვ. მირონოვმა.

ასპარეზობა ქალბმაც რეკორდით დასრულეს. ვ. კურიცინამ, ვ. პაპალუსკენემ, ვ. პრივალოვამ, ე. მილერამ, ვ. ბორშუვსკიკამ, ვ. სტაროსტინამ 1000-მეტრიან სიმაღლეზე დატოვეს თვითმფრინავი და წრის ცენტრში დაეშენენ.

ფერვანის ცის ქვეშ გამართული საიუბილეო შეჯიბრების პერიოდში საბჭოთა პარაშუტისტებმა სულ 12 მსოფლიო რეკორდს დაამყარეს.



მხრებგაშლილი რესტორანი და...



ბათუმის „დინამოს“ სტადიონთან ორი კაცი ერთმანეთს დამორღო. ერთი ომბიანი, ჯან-ლონით სავსე, პირდაპირ სინათლით გაჩახახებულ გრძელ დარბაზში შევიდა, მეორემ გზა მარჯვნივ გააგრძელა, რომელიც კოლოფებით ოთახში შეიჭრა.

ვინ იყვნენ?

თუმცა, ჯერ ხმაილადა ის ვალი-ართო, რომ აპარის დედაქალაქის ახალგაზრდობა საერთოდ არაა განვითარებული სპორტული ბაზებით. უყურადღებოდ რჩება სპორტის შესწავლა ბევრი თხოვნა. ქალაქში, უბრალოდ, ბურთის სავარჯიშო ადგილიც სახლით სიძებნელია. ამიტომაც დიდიხანა სავარჯიშო ბაზების ქრიაპული ხსენებული სტადიონის სათადარიგო მინდორზე. „დინამოს“ ოსტატთა კოლექტივთან ჩამოყალიბებული მოსამზადებელი ჯგუფების მწვრთნელები ლ. ვერულიძე, ვ. მკვირია და ბ. მურვანიძე ვარჯიშის შემდეგაც არ ტოვებენ სარბიელს, რჩევა-დარიგებებს აძლევენ ფეხბურთის სათამაშოდ მოსულ ბიჭებს, გულდასმით აკვირდებიან მათს თამაშს და

ბევრს სექციაშიც იწვევენ სავარჯიშოდ.

სამართლიანია მწვრთნელთა გულისტკივილი. ოსტატთა ცვლის აღსაზრდელად ყოველგვარი პირობები უნდა იყოს შექმნილი. აქ კი მოთხოვნების მინიმუმზეც ზედმეტია ლაპარაკი. ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, ეს მოედანი არასტანდარტულია და მოლის ნაცვლად უხეში გრუნტი აქვს.

ახლა შეწყვეტილი ამბავი გაავარჯიშოთ. ჯერ მოდით, ნათელ და ფართო დარბაზში შევიხედოთ.

ბათუმის „დინამოს“ სტადიონის ყველაზე ფართო და ნათელ დარბაზში, მის მომარჯვე ოთახებში რესტორანი დასახლებული თავისი სათავსოებით (სხვათა შორის, სხვენიც კი დაუსაყუთრებიათ). რესტორანი სხვა სტადიონზეც არის, იქნებ ვინმემ გვითხრას. კი, ბატონო, მაგრამ სადაა სპორტი ისე შევიწროებული და რესტორანი ისე მხრებგაშლილი, როგორც ბათუმში, „დინამოს“ სტადიონზე? საერთოდ კი ისიც საკითხავია, რამდენად მიზანშეწონილია სპორტულ ბაზებზე რესტორნებისა და საზოგადოებრი-

ვი კვების ობიექტების ისეთი „პროფილი“ მუშაობა, როგორც თაც ისინი დღეს გვთავაზობენ სამსახურს.

დიდი ხნის წინათ აგებულმა სტადიონმა ბევრჯერ იცვალა სახე, მაგრამ რესტორანი „სპორტი“ მუდამ ყურადღების ცენტრში იყო. ნამდვილი სპორტის საქმე კი ჭიანჭურდებოდა, ზარალდებოდა. ლაბინთებში დაიკარგება კაცი, სანამ რომელიმე ოთახში მწვრთნელს და მის აღსაზრდელს მიაგნებდეს. სტადიონის ცენტრალურ შესასვლელს შეხედავ და გული გაგინათდება, გარეთ მტერს უყენებს თვალს და შიგნით — მოყვარეს. ტრიბუნების მთელს ფასადზე რესტორნის რეკლამად სპორტის სხვადასხვა სახეობის ბევრი ამოღლებული მომენტია გამოჩეჭურთებული. თუმცა, ამ დარბაზშიც ხომ თავი სტადიონის სარბიელს: აქაც „წვრთნა“ და „ჭიდილი“ გამომდებოდა. მერე რა ვუყოთ, თუ ამ დარბაზიდან სპარტაკიადებზე და ოლიმპიურ თამაშებზე არავინ მიემგზავრება. სამაგიეროდ, „რაინდული“ საქციელისთვის აქაც შეიძლება დაიშა-

ხურო შესაფერისი საგზური... ცხრილებსა და წვრთნის გეგმას აქ მენიუ და ოფიციალური დოკუმენტების სამსახურით დაფარაობა ჰქვია (დინამოსის ქვეთარი რა სახსენებელია), მეცადინეობის ჟურნალს — საჩივრისა და წინადადებების წიგნი.

მოდით, ახლა იმ მეორე უცნობის კვალს მივყავით. ამ კაცმა ფეხბურთელთა მოსამზადებელი ჯგუფის მწვრთნელთა ოთახში შეუხვია. მწვრთნელები ტრიბუნის ქვეშ, ერთ ციციქნა ოთახში შეხიზნულან ექიმთან ერთად. ახლა იგი მწვრთნელთა სამუშაო ოთახიცაა, კლასიც, საექიმო კაბინეტიც.

სხვათა შორის, სივიწროვით მოკრივეებსაც სული ეხუთებათ.

მოზარდ ფეხბურთელთა მწვრთნელები ალბომს გვთავაზობენ. ამ ალბომიდან შეგიძლიათ შეიტყუოთ, რომ ჯ. მორჩილაძე 1969-70 წლებში ერთგულად სდარაჯობდა რესპუბლიკის ახალგაზრდული ნაკრების კარს. მას საბჭოთა კავშირის რჩეულ მოზარდ ფეხბურთელთა გუნდშიც დაუტაცეს კოლექტივის

ღირსება. სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის ნაკრებში შედიოდნენ ბ. კვიციანი, ნ. ხიზანიძე, დ. თ. ესებუა. ამ უკანასკნელმა წლეულს სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა დინამოელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში იასპარეზა და საუკეთესო თავდამსხმელის პრავით დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. ამ ჯგუფების ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს ისიც, რომ რვა ფეხბურთელი აქარის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში ჩარიცხული.

ზეალონდული სპორტის ძლიერებას ბავშვებთან კარგი მუშაობა განაპირობებს. მომავალ ფეხბურთელებს, ფრენტურთელებს, კალათბურთელებს, მოკრივეებს, მოჭიდავეებს, ძალოსნებსა და სხვა სახეობების წარმომადგენლებს კეთილმოწყობილი ბაზები ესაჭიროებათ. ამიტომაც დასაინანი მათი ისეთი შევიწროება, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

თ. ბაჩიჩილაძე.
(ჩვენს ხეც. კორ.).

ბათუმი.

სსრ კავშირის
პირველი
შედეგი

განსხვავებული ტაიმები

თბილისი. სპორტის სახალხო. 26 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 69:62 (29:29).

„დინამო“: ბიკიაშვილი (22), საკანდელიძე (16), მ. ქორქია (9), ჩიხლაძე (9), ძიძიგური (4), პულაძე (6), უგრეხელიძე (8), ჩხიკვაძე, სხივარდია, ფიცხელაური, ნ. ქორქია.

„სტროიტელი“: კოვალენკო (17), სალიკოვი (15), ლუშინკო (14), სმოლიაკოვი (2), დეტოვი, რუიკი (8), მარტინოვი (6), ზღარაკი, ლიტოვკო, გლაძე.


მსაჯები — ო. კამიშოვი, ვ. კასატკოვი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები — 60:59 (34:33) „სტროიტელის“ სასარგებლოდ.

კაუნასის ტურის შემდეგ „სტროიტელი“ ბევრს ლაპარაკობენ: ზოგს მისი საბრძოლო პოტენციალი მოსწონს, ზოგს — სტაბილური შემადგენლობა, ზოგს კი მიაჩნია, რომ ფიზიკური მონაცემებით იგი ჩემპიონის კვარტის ღირსია. „სტროიტელი“ მართლაც შეიცვალა, „ტანი აიყარა“, გაახალგაზრდავდა, მაგრამ ამ თვისობრივ ცვლილებებთან ერთად დაკარგა მისთვის დამახასიათებელი თამაში — მწვავე, მსუბუქი და, რაც მთავარია, შედეგიანი. ეს ჩემპიონის ბრძოლა, მსოფლიო ერთი მატჩით მიღებული შთაბეჭდილება. შესაძლოა, გუშინწინ ამ გუნდმა ბოლომდე ვერ გასწა თავისი თავი და ნამდვილი ძალა მომდევნო შეხვედრებისთვის შემოინახა, მაგრამ არა მგონია, რომ საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე სამი წაბების შემდეგ იგი რაიმეს მალავდეს.

მე უფრო სხვა რამ მაქვს. შემადგენლობის მეტეორმა გადახალისებამ ხომ არ შეცვალა გუნდის თამაშის სტილი, საერთო სქემა და აშკარად გამოსატყულო, ოდესღაც მსოფლიო მისთვის დამახასიათებელი ხელწერა?

ზონური პრესინგის ფუქციონირების საბჭოთა კალათბურთში დღესაც არ ღალატობს თავის. მომდევნება, ოღონდ წინა წლებთან შედარებით აშკარად დაქვეითდა საშუალოდ ოსტატობა. გუნდი შესაძლებელია დამძიმდა, ნაკლებად მოძრაი, უფრო ტლანქი გახდა. წინანდელი უშუალოდ და არტისტიკური ძალისმიერმა მანერამ შეცვალა. და რა გასაკვირია, რომ ნელ-ნელა დაიკარგა თამაშის ეფექტი, იმპროვიზაციის უნარი და ცეცხლოვანი ტემპერა-მენტი. ყოველივე ეს ერთფეროვანმა სქემებმა შეცვალა, სადაც არის ერთი სოლისტი, გემპარტიკი საკალათბურთო გიგანტი კოვალენკო და რამდენიმე მეორეხარისხოვანი შემსრულებელი. თუმცა, ამ ასალ სქემაშიც „სტროიტელი“ დიდი ძალაა, თუ, რა თქმა უნდა, მის ნება-სურვილს დაჰყვები.



წევას მთელი პირველი ტაიმი დასკრდა.

შესვენებისთვის განკუთვნილი დრო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ერთი მთავარი დასკვნის გასაკეთებლად: „სტროიტელი“ დამარცხება შეიძლება, ოღონდ საჭიროა ტემპი, სწრაფი შეტევა, კონსისტენტი სისწრაფე. და აი, სულ რაღაც ხუთი წუთში ვნახეთ ის, რასაც წლების მანძილზე ველოდით. „სტროიტელი“ ასეთ ტრანსფორმაციას არ ელოდა და, ვინაიდან უნარიც არ შესწავლა დაუპირისპირებინა რაიმე ამ დაუოკებელი შეტერის შესაჩერებლად, ერთბაშად გატყდა.

მერე კი დარჩენილი დრო ამ უდავო უპირატესობის ხორცშესხმას მიხმარდა. დინამოელთა თამაშში უკვე ყველაფერი რაზე იყო — პირველ შეტევას ასევე სწრაფი და აშკარული შეტევა შეტევა ცვლიდა, ზუსტი სროლები — ფარის ქვეშ ფაქტიურად უნაკლო თამაშს, თავდასხმა — დაცვას, დაცვა — თავდასხმას... ერთი სიტყვით, არ იყო რგოლი, თავისი წვლილი რომ არ შეეტანა ამ ლამაზ გამარჯვებაში, სა-

დაც ყველა ღირსებამ ერთად მოიყარა თავი და ანსამბლის რწმენა ერთიან სურვილად და მონდობად აქცია.

კალათბურთის თბილისში მუდამ ჰყავდა ქომბანი. ახლა მათი რიცხვი ერთი ორად გაიზარდა. ეს კარგი ცხოვრების მიზეზია. გულშემატკივარი უკვე თამამად მოდის სპორტის სასახლეში იმ იმედით, რომ საკუთარი თვალით ნახოს საყვარელი თამაშის აღორძინება. და ვინაიდან მად ჭამაში მოდის, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სხვალინდელი დღე კიდევ ახალ სისხარულს მიგვიტანს.

საკავშირო ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო. წინ ბევრი პასუხსაგები მატჩია ძლიერ და ღირსეულ მეტოქეებთან. ცხადია, გულშემატკივრები მუდამ ერთნაირ გუნდსავე არ იქნებიან, მით უმეტეს, ახლა სტუმრად თამაშების სერია მოგვლის. მაგრამ ისიც საკმარისია, რომ „დინამოს“ ბიოგრაფიაში ახალი თავი დაიწყო. მოლოდინს შეგვეუღოთ, ახლაც უსიტყვოდ დაგულოდებით ჩვენს ჯერსა და რეც.

ერთი რჩევა ცხელ გულზე დინამოე-

ლებს მაინც უნდა მივცეთ. თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ოდესმე კალათბურთის რომელიმე მსაჯს თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა? ვერავინ გაგვასწავნებს ასეთ ფაქტს. მაშ რე ვგარეგავთ უქმად დროს, რე ვიშლით ნერვებს და ტყუილბურალოდ რე გამოგვყავს წინასწარობიდან მკურნებელი. ამას მაინც არ მოჰყვება შედეგი, ვინაიდან მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოოა. ამავე დროს რე დაგავიწყდებოთ, რომ მსაჯებიც ადამიანები არიან და უნებლიე შეცდომები მათაც შეიძლება მოსდით. ეს ბრძოლის ლოკიდან გამომდინარე ქემპარტიკაა და სხვა არაფერი. თავდაჭერა კი მეტროშის მთავარი ღირსება გასლავთ, რომელიც გაცილებით უფრო ძვირფასია, ვიდრე მსაჯის ერთი უშინშეგნო შეცდომა ან მოჩვენებითი უზუსტობა.

ნ. გუპუშვილი.


ს უ რ ა თ ე: ბრძოლა ფარქვეშ (მარცხნიდან) — ს. კოვალენკო, ი. ძიძიგური და ბ. ლუშინკო.

მ. ზარვარაძის ფოტო.

შედეგები 27 დეკემბრისთვის

კლუბი	ტ. მ. წ. ქ.
„ავანგარდი“ (დონეცი)	10 8 2 8
ასკ (რივა)	8 8 0 8
ვეფ (რივა)	8 7 1 7
„ტრუდი“ (კრასნოდარი)	10 6 4 6
„სტატბოს“ (ვილიუსი)	10 6 4 6
„სპარტაკი“ (ნიკოლაევი)	10 5 5 5
ფიშკ. ინსტ. (ერევანი)	8 4 4 4
„ტრუდი“ (ტაგანროგი)	10 4 6 4
ასკ (ლენინგრადი)	8 4 4 4
„ბურევესტნიკი“ (თბ.)	10 3 7 3
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	8 3 5 3
„ურალმანი“ (სევერდ.)	10 3 7 3
„პოლტავენიკი“ (კიშ.)	8 2 6 2
აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო)	10 1 9 1

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის ორი მატჩის შედეგი (ალმა-ათის „ლოკომოტივი“ — ერევნის ფიშკულტურის ინსტიტუტი და ლენინგრადის ასკ — კიშინიოვის „პოლტავენიკი“).



ერთი საგზური — კოზლოვსკაიას

მოსკოვი, 26 დეკემბერი. პატივითსა და მოჭარბავე, საერთაშორისო ოსტატმა ვ. კოზლოვსკაიამ ფიდე-ს საზოგადოებრივ ტურნირის საგზური მოიპოვა. ეს გამოირკვა დღეს, როცა მან ი. ლევიტინსთან (ლენინგრადი) გადამდებულ პარტიაში ზავს მოაწერა ხელი.

ორი სხვა პრეტენდენტი — ნ. კონოპოლიცა (მოსკოვი) და ლევიტინა საზოგადოებრივ ტურნირის მეორე საგზურისთვის განაგრძობენ ბრძოლას. ყველაფერი ამ მეტოქეთა შეხვედრაში გადაწყდება. ეს შეხვედრა 27 დეკემბერს გაიმართება.



საბჭოთა გუნდები უსხოათში

პაკისტანში პირველი ამხანაგური მატჩი ჩატარდა ვოროშილოვრადის „ზარიაში“. მან ყარაჩის ნაკრებს სძლია — 3:1. ბურთები გაიტანეს კუსკოვა, ელისევევა და სტარკოვა.

სომალში სტუმრად არიან დენბროპეტროვსკის „დნებრი“.

ფეხბურთელები. ისინი მოგადიშოში შეხვდნენ ადგილობრივ „მუნჩინიოს“ და გაიმარჯვეს ახგარიშით 7:1 (2:0). ბურთები გაიტანეს ხრი-სტიანმა, პორკუიანმა, პილიპჩუკმა (2-2) და რომანიუკმა.

ამბალაში, 26 დეკემბერი. მინსკის „დინამო“ საერთაშორისო ტურნირში დაიწყო უგანდაში და ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოუგო ჯერ ქალაქ მბარარის გუნდს, ხოლო შემდეგ — უგანდის ახალგაზრდულ ნაკრებს.

მოსკოვში, 27 დეკემბერი. მოსკოვის „ტორპედო“ გაიმარჯვა სა-

ერთაშორისო ტურნირში, რომელიც იქ პირველად ჩატარდა ლარბაში. ბავარიის დედაქალაქში მოსკოველებმა დაამარცხეს „ფი ნიურნბერგი“ (1:0), „1860 მიუნხენი“ (3:2); ხოლო „ფორტუნა კიოლნი-თან“ ფრედ (0:0) დაამთავრეს შეხვედრა.

რის რესპუბლიკური კომიტეტის თასზე.

ბ. ჩინაპაძე, ფეხბურთის ვეტერანი, სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

10 საუკეთესო მსაჯი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 10 საუკეთესო მსაჯის სია (ანბანის მიხედვით): დ. აბუთიძე (ჭუთაისი), ო. ალავეძე, ნ. ამირეჯანი, გ. გვანცელაძე, ვ. ეჭიბია, ა. ვარდიამილი (ყველა — თბილისი), ი. კუსიდი (ბათუმი), გ. პოლოსანი (სოხუმი), უ. ფურცელაძე (თბილისი), ლ. ჭახაძე (ხაშური).

ათულში არ შედიან მსაჯები, რომლებიც უმაღლესი ლიგის მატჩებს ემსახურებიან.

ს მ ე ტ ნ ი ა მ მ უ შ ა ო ბ ა მ ა ნ ა კ ს ლ ა

განაახლა მუშაობა მინქანთმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტთან არსე-

ბულმა საფეხბურთო სექციამ. საგაიხოდ დასახულია ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა. ჩატარ-

დება შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში, ამას გარდა, მოეწყობა გათამაშება პროფკავში-

რის რესპუბლიკური კომიტეტის თასზე.

ბ. ჩინაპაძე, ფეხბურთის ვეტერანი, სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

• KOPANA • ФУТБАЛ • ФУНჯუნი • LABLARUGAS •

ფეხბურთის ზოგიერთ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ 60-ანი წლებში ფეხბურთის საბოლოოდ უნდა დაესაბრებინა ვარსკვლავთა მნიშვნელობა, რომ გუნდები რობოტების ერთიანობას უფრო დამგვანებოდნენ, ვიდრე სხვადასხვა ინდივიდუალობის მქონე მოთამაშეთა კოლექტივებს. ნაკლებად პესიმისტებიც კი არ უქადნენ კარგ მომავალს ვარსკვლავებს.

მაგრამ დაიწყო 70-ანი წლები და ევროპის წამყვანი კლუბებში კვლავ გამოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებიც შეხვედრათა ბედს წყვეტენ და მათ უფრო მეტად მათს სანახავად მიდის სტადიონებზე, როგორც მიდიდა ა. დი სტეფანოს, ფ. პენტოს, ფ. პუშკარის, რ. კოპას, დ. ბუნენფელდერის, პ. გრეგის, დ. მაკკეისა და სხვათა სანახავად. ევროპულ ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა. წინათ ცნობილი კლუბები აღარ არიან ისე ძლიერი, ზოგიერთი მათგანი მეორეხარისხიან გუნდადაც კი იქცა. გამოჩნდნენ ახალი კოლექტივები. ამ მხრივ შე-

თაობა თაობას მისდევს

სანიშნავ მაგალითს წარმოადგენენ ამსტერდამის „აიჰსი“, მიუნხენის „ბაიერნი“ და სხვ.

რაც მთავარია, კარგ გუნდებში კვლავ ვხვდებით გამოჩენილ ფეხბურთელებს — ვარსკვლავებს, მათ, ვინც ფეხბურთის ასე მიმზიდველ სანახავად აქცევს.

ევროპის მინდვრებზე დღესაც ბრწყინავენ 60-ანი წლების ვარსკვლავები ეუსებიო (ლისაბონის „ბენფიკა“), ბ. ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“), ბ. მური (ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“), ბ. ვან პისტი (ბრიუსელის „ანდერლექტი“), ა. ამანსიო და ხ. პირი (მადრიდის „რეალი“), პ. შნეილინგერი („მილანი“), ფ. ბეკენბაუერი (მიუნხენის „ბაიერნი“) და სხვ. ამასთან, ბოლო წლებში ევროპის ფეხბურთის მინდვრებზე გამოჩნდ-

ნენ სხვა ნიჭიერი ფეხბურთელები, რომელთა შორის ბევრმა გამოჩენილი ოსტატის სახელი მოიხვეჭა. ასეთები არიან რ. მაკფარლანდი და კ. ტოდი („დერბი ქაუნთი“), კ. კი-განი („ლივერპული“), ი. კრუიფი და ვ. ნეესკენსი (ამსტერდამის „აიჰსი“), გ. ვან პანეგემი (როტერდამის „ფეიენოორდი“), ლ. მაკარი, და კ. დალგლში (გლაცგოს „სელტიკი“), ხ. გრანდი, ხ. სანტილიანა და მ. ანსარდა (მადრიდის „რეალი“), გ. მიულერი და უ. პიონესი (მაუნჰენის „ბაიერნი“), გ. ნეცერი (მენჰენგლადბახის „ბორუსია“), ლ. რი-ვა („კალიარი“), ჯ. კინალია (რომის „ლაციო“) და სხვ.

ერთი ნათელია: ისინი რომ არა, ევროპაში ძალიან ცოტა ფეხბურთის მოყვარული დარჩებოდა.

(ს.კ. ინფ.)

4 ბურთი მიტოქის მინდორზე

1969 წლიდან მოყოლებული, ინგლისის ჩემპიონატში ასეთი რამ არ მოხდარა. ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ცნობილმა ფეხბურთელმა ბიტერსმა მანჩესტერში ადგილობრივ „იუნაიტედთან“ შეხვედრაში (იგი ლონდონელებმა მოიგეს ანგარიშით 4:1) ოთხივე ბურთი გაიტანა.

14 კლუბი — პირველ ლიგაში

უჩვიის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით, ამ ქვეყნის პირველი ლიგის შემადგენლობა 12 გუნდიდან 14-მდე გაიზარდება. ეს ნიშნავს, რომ გაიხად პირველ ლიგას დამატება სამი ახალი გუნდი — „ელვზბორგ“, „სირიუსი“ და „საბაი“.

წესრიგის დამრღვევნი დასაჯას

ფეხბურთის მოყვარულებმა ამას წინათ ტელევიზიით ნახეს უეფა-ს თასის გათამაშების საბასუბო მერვედფინალური მატჩი: „კაიზერსლაუტერნი“ (გფრ) — „არარატ“ (ერევანი). ზოგიერთი მწიფე ფეხბურთელი ამგარად არასპორტულად იქცეოდა, დისციპლინას არღვევდა, რაც არ შეეფერება საბჭოთა სპორტსმენის მორალურ სახეს. ამასვე წერდა კიდევ საბჭოთა პრესა.

ამ დღეებში გაიმართა სომხეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის გაერთიანებული სხდომა კომპაგნირულ და პროფკავშირულ აქტივთან ერთად.

შეაგრი გაკიცხვის ობიექტად იქცა ნ. პეტროსიანის, ა. არუთიანიანის, ლ. იშტოიანიანისა და ა. ანდრიანიანის უღირსი გამოსვლები კაიზერსლაუტერნის სტადიონზე. ჩამოთვლილ ფეხბურთელებს გამოეცხადათ სასტიკი საყვიღური და თუ ისინი მომავალში მსგავს საქციელს ჩაიდინენ ოფიციალურ თუ ამხანაგურ მატჩებში, დისკვალიფიცირებული იქნებიან, ამას გარდა, დაისაჯება საკითხი „არარატში“ მათი ყოფნის შესახებ.

შეაგრი მითითება მიეცა „არარატის“ ხელმძღვანელობასაც.

მღუმარა ჩეგპირონი

უჩნაშვილი: ლაპარაკი და ფოტორეპორტიორები არ უყვარს. ინტერვიუსაც არავის აძლევს, დიდ ყურადღებას აქცევს თავს, რომ ლაპარაკის დროს უდემტი არაფერი წამოსცდეს. ერთი ცნობილი რადიორეპორტიორი მთელი ექვსი თვის განმავლობაში ცდილობდა მისგან გაეგო სულ სამი სიტყვა: „მე ჩემპიონი ვარ“. ამაოდ. „ათას რამეს თხოვენ, რაც მე არ მითქვამს. მე მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ და ვცდილობ, რაც შეიძლება კარგად გააკეთო“.

ანდრეს, სერჯო ენდრიგოს და ჯინა პაოლის ფირფიტებს. კითხულობს უურნალ-გაზეთებს. გულსყურით საკითხავ წიგნებს არ ეტანება. უყვარს დეტექტიური ფილმები, ვარიეტეს პროგრამები ტელევიზორით, ნადირთა და ავტობანქანი. გარდა კვირა დღისა, 9-სა და 10 საათს შორის იძინებს. თამაშის სმირად არ ეწევა, შედარებით მეტს — ორშაბათობით. უკვე სამი „საცლო“

ჰყავს: 18 წლის ბიანკა პარაჩინი — არონელი ექიმის ქალიშვილი, 24 წლის ჟულიანა ტრელეანი — იტალიის ჩემპიონი წყალბურთის ნადირთაში და, ამავე დროს, მასწავლებელი კალიარში. ერთიც, 18 წლის მილანელი ქალიშვილი. ერთი ამბობს, რომ მისი იდეალია ქალი, რომელიც ვარჯიშულად ძალიან ემგავნება მომღერალ როსანა ფრატელის. მაგრამ მან განაცხადა, რომ

ცოლს მხოლოდ საფეხბურთო კარიერის დასასრულს შეირთავს.

უგრსა და ედი რივას ოჯახში ოთხი ბავშვი დაიბადა: კანდიდა, ლუჩია, ჯოჯი და ფაუსტა. მამა რომ გარდაეცვალა, ჯოჯი 9 წლისა იყო, ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა კანდიდა, 1962 წელს — ედეა. რივას ახლო ურთიერთობა აქვს ორივე გათხოვილ დასთან და მათს ოჯახებთან. იქნებ იმის გამოც, რომ თვითონ, თბილად დარჩენილს, აღარე მოაკლდა ოჯახური სითბო.

„მინი-ფეხბურთის“ ფინიში

დასასრულს უახლოვდება თბილისის-ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირი მცირე მოედნებზე.

„მინი-ფეხბურთის“ ფინალური მატჩები გაიმართება 29 დეკემბერს სპორტის სასახლეში. შეხვედრათა დასაწყისი 15 საათიდან.

მოგვეყვას გადამწყვეტი მატჩების განრიგი: V-VI ადგილებს გაითამაშებენ კალინინისა და 26 კომისრის რაიონის ორივე ასაკის ბავშვები, III-IV ადგილებისთვის ითამაშებენ ოქტომბრისა და ლენინის რაიონების უმცროსი ასაკის, ოქტომბრისა და I მაისის რაიონის უფროსი ასაკის ბავშვები. დაბოლოს, I ადგილებისთვის იბრძოლებენ ორჯონიკიძის და ლენინის რაიონების უფროსი ასაკის, ორჯონიკიძისა და I მაისის რაიონების უმცროსი ასაკის ფეხბურთელები.

კიდევ უარესი, თუ ვინმე მისი პირადი ცხოვრებით დაინტერესდა. „არა, არა, გეთყავა, მე თქვენი საქმე არ არის“, — ამბობს იგი. არ უყვარს, როცა ცდილობენ მის სულში ჩახვიდნენ.

მინც ვინ არის ეს კაცი?

ლუჯი რივა, ფეხბურთელი, რომლის მსგავსნიც ცოტანი იბადებიან. დაიბადა 1944 წელს ლეჯიუნაში, ვარსკვლავის ახლოს. თმა და თვალები წაბლისფერი აქვს, სიმაღლე — 179 სმ, წონა — 78 კგ.

სპორტსმენისთვის სავსებით შესაფერისი აგებულება აქვს. გაღვიძების მინი პულსი წუთში 44-ია, საღამოს — 48, ჩვეულებრივად — 60. ლუჯის იდეალური კუნთოვანი სისტემა აქვს. მიუხედავად მაღალი ტანისა, კატასავით მოქნილია...

დილით ადრე არ დგება, ასე 9-სა და 11 საათს შორის. ჩვეულებრივად სადილი: სარდინიული ანტრიები, შემდეგ ნახევარი კილო ბიფშტეკი, სალათი, კომპოტი, ჭიკა ლენიო, პური და ფინჯანი ყავა. ხანდახან ორ ულუფა ხორცს მიირთმევს. ორშაბათობით ლანგუსტას და ძხვს გეახლებათ. მარტოხელა კაცის ცხოვრებას ეწევა ბინაში, რომელიც კლუბმა „კალიარიმ“ მისცა. თავისუფალ დროს უსმენს ფაბრიციო დე



საფუტეობანი ფსიქოლოგიური ანალიზით შეიძლება ჩაეფედომოდით მის პიროვნებას, მაგრამ თვითონ არ იძლევა ამის საშუალებას. რივამ ბავშვობაში ბევრი გაჭირვება გადაიტანა, რამაც გამოაწრო და მწვერვალისკენ გზა გაუილა. რა თქმა უნდა, ამას მისი არაჩვეულებრივი ნიჭი დაემატა. ლეჯიუნაში რივას ცხოვრება „მდიდარი“ იყო სინამდვილში. უფრო დიდ ქალაქში ამგვარი გაჭირვების შემდეგ შეიძლება არც დაწყებული ლაპარაკი „გაუცინარ ყმაწვილზე“, ყმაწვილზე, რომლის გული და თვალები მელანქოლითაა სავსე. ჯოჯი მთელი ნებისყოფით მიიწევს იმისკენ, რაც მიზნად დაისახა.

ასევე შეიძლება აინსნას მისი ხასიათის სხვა მხარეები. მაგალითად ის, რომ ვოლის გატანისას ჯოჯის შეუძლია შეინარჩუნოს სრული სიმშვიდე და მღელვარების ნიშანწყალად არ დაეტყოს. რივა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ყველაფერს სხვის დაუხმარებლად, საკუთარი სეგებით ქმნიან, თავის გეგმებზე და პრობლემებზე სალაპარაკოდ კი აღარც დრო რჩებათ, აღარც ხალისი. ეს მორიდებულობა ნიშნავს მისი ხასიათისა, რომ ყოველგვარი მოქმედება საკუთარ სინდისს შეუთანხმოს.

მისი პიროვნება განუყოფელია. კაცი, რომელიც მიეჩნია მუდამ მტკიცე იყოს, თავმდაბალი და მოკრძალებულია. ამიტომ შემტევი მუნებისაც არის. ესაა დიდი ჩემპიონი, რომელმაც თავის ტკივილსა და სინდისებში იპოვა წყარო წარმატებებისა.

უფროს „შტარტიანი“ (ბრატისლავა) თარგმნა მარინე მამულაშვილმა.

ს უ რ ა თ ე: ლ. რივა.

კომპიონი
სკოპიონი
— სოხუმი
დამთავრდა ქალაქის მოსწავლე ფეხბურთელთა შეჯიბრება

გაზეთ „საბჭოთა ალხანეთის“ პრიზზე. ტურნირში მონაწილე გუნდები ქვეყნულად იყვნენ დაყოფილი. ფინალურ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვეს მე-12 და მე-4 საბუთალო სკოლებს გუნდებმა. წარმატება მე-12 სკოლის ფეხბურთელებს ხვდათ.

ბ. იაშვილი.

